ჰადისებს ვსწავლობ

# სიმართლეს ვამბობთ



სიმართლეს სიკეთისკენ მივყავართ. (ჰადისი შერიფი)

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები



# ჰადისებს ვსწავლობ

# სიმართლეს ვამბობთ


ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)







ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი

muslim GEORGIA international charity foundation

გამომცემლობა თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში დადის, თარიქი კი პირველ კლასში სწავლობს. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ.

მათი მშობლები ქაღალდზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები აღმზრდელობითი შინაარსის ცქქსცებია. ზეინეფი და თარიქი ყვირის განმავლობაში თითო ჰადისს სწავლობენ.



თავდაპირველად, "სალლალლაჰუ ღალეიჰი ვესელლემის (ალლაჰის სალათი და სალმი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ახსენებენ, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ.

ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ ცდილობენ ჰადისის მცნებისამებრ მოიქცენ. ასეთი ქცევით მათ სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.





# დინ! დან! დონ!

– დარეკა ზეინეფისა და თარიქის სახლის ზარმა. მათი დედა, ქალბატონი მელექი, კარების გასაღებად წავიდა. ცნობისმოყვარე და-ძმაც უკან მიჰყვა.

# ნეტა ვინ მოვიდა?

რა კარგია! სტუმარი, მათი დედის მეგობარი, ჰასნა დეიდა აღმოჩნდა. ჰასნა დეიდას ტყუპი შვილები ჰყავდა. ერთს ბუშრა ერქვა, მეორეს კი ქაირა. ამ საყვარელ, წელიწადნახევრის ბავშვებს სიარული ახლახანს დაეწყოთ. ირგვლივ ყველაფრის არევა და ზეინეფთან და თარიქთან თამაში ძალიან უყვარდათ. ზეინეფსა და თარიქსაც ისინი ძალიან უყვარდათ.









ქალბატონმა მელექმა სტუმრები შინ მიიპატიჟა. ზეინეფმა და თარიქმა ტყუპებთან დაიწყეს თამაში. თამაშისას, თარიქის გაქნეული ბურთი, დედის საყვარელ ყვავილს მოხვდა. ქოთანი ძირს დაეცა და დაიმსხვრა.

სამზარეულოში დედები ჩაის ამზადებდნენ. ხმაურზე ქალბატონი ჰასნა გამოვიდა ქალბატონი ჰასნა ქაირას მიუბრუნდა და უთხრა:

–ყურადღება უნდა მიაქციო ბურთს საით ისვრი, პატარა მოუსვენარო! შესაძლოა შენც რამე გეტკინა.



ეგონათ ქოთანი ქაირამ გატეხა. თარიქმა არ აღიარა მისი დანაშაული და ზეინეფსაც გაჩუმებისკენ მოუწოდა.









შეამჩნიეს, რომ მუშრა არ ჩანდა. მის მოსაძებნად ოთახების დათვალიერება დაიწყეს.

პატარა გოგო ზეინეფისა და თარიქის ოთახში იპოვეს, ჰადისის ყუთს რომ ურევდა.

ცნობისმოყვარე მუშრას ყუთიდან ერთი ჰადისი ამოეღო.

თარიქმა უთხრა:



**– როგორც ჩანს, ამ კვირის ჰადისი შენ შეარჩიე.**

ქალბატონმა მელექმა აიღო ჰადისი და წაიკითხა:

**– "სიმართლეს სიკეთისკენ მივყავართ!"**

ჰადისის გაგონებისას თარიქს ლოყები აეწითლდა. მიხვდა საკუთარი დანაშაული.





ზეინეფი და თარიქი ჰადისის
ასახსნელად ბებიასთან მივიდნენ.
ზეინეფმა უთხრა ბებიას
რომელი ჰადისი ამოვიდა.
თარიქმა იმ წუთას
ჰკითხა:



**–ჩვენი შუამავალი ამ ჰადისით რას გვასწავლის?**

ბებიამ უთხრა პატარებს,

**რომ ამას მაგალითით უკეთ აუხსნიდა.**

შემდეგ ცარცი აიღო ხელში.
ორი ნახაზი დახაზა, ერთი სწორი ხაზი იყო, მეორე კი ზიგზაგი. და–ძმა ინტერესით უყურებდა.







ბებიამ უთხრა:

–თითომ თითო ნახაზი აირჩიეთ. დაიწყეთ რომ ვიცყვი ხაზს მიყევით ბოლომდე.

ზეინეფს სწორი ხაზი ჰქონდა არჩეული და მალევე მიაღწია ბოლოს, თარიქი კი ჯერ კიდევ ზიგზაგს მიუყვებოდა.



**–აი, სწორი ქცევაც ყოველთვის ასე მალე მიგიყვანთ სიკეთემდე**

– უთხრა ბებიამ.

ამ დროს თარიქი ზეინეფს მიუახლოვდა და უთხრა:

–როგორც ჩანს დიდი შეცდომა დავუშვი. დედას უნდა ვუთხრა, რომ ქოთანი მე გადმოვაგდე.

–მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა ზეინეფი.







მათი საუბარი ბებიამ მოისმინა,

**–ყოჩაღ, თქვენ სიმართლის თქმა მოგიხდებათ**

– უთხრა ბებიამ და ორივეს თავზე ხელი გადაუსვა. შემდეგ ორივეს კითხა:

–გინდათ დედათქვენის ყვავილი ახალ ქოთანში ჩარგოთ?

ზეინეფი და თარიქი იმ წუთასვე დაეთანხმნენ.



ბებიამ ყვავილი ახალ ქოთანში მოათავსა. თარიქს უთხრა ქოთნის ცარიელი ადგილები მიწით ამოევსო, ზეინეფს კი ყვავილი მოარწყვევინა. ამ გზით ყვავილის მოვლა დაასრულეს. და–ძმა ბებიას მოეხვია და მადლობა გადაუხადა.





muslim georgia





და–ძმამ აიღო ყვავილი და სახლში შევიდა. თარიქმა დეიდას ყვავილი მიაწოდა და დაიწყო ლაპარაკი:



**–ბოდიშს გიხდით, რომ სიმართლე არ გითხარით. ქოთანი მე გადმოვაგდე.**

ქალბატონმა მელექმა უთხრა:
–ქაირას უნდა მოუბოდიშო იმიტომ, რომ გვეგონა მან გატეხა.
ამ დროს ქაირა თარიქს სკიტრზე ექაჩებოდა და მისთვის რაღაცის ახსნას ცდილობდა.
–დარწმუნებული ვარ გაპატიებს, რა თქმა უნდა მას კიდევ თუ ეთამაშები – თქვა ჰასნა დეიდამ და ყველამ გაიცინა









ზეინეფი და თარიქი მთელი დღე ტყუპებს ეთმაშებოდნენ, საღამოს კი ადრე დაიძინეს, რადგან დილით ბუნების ჯგუფის ექსკურსია იყო.

დილით ორივე ექსკურსიისთვის მოემზადა. სახლიდან გასვლისას ერთმანეთს სიტყვა მისცეს – "**ყველგან, ყოველთვის სიმართლეს ვიტყვით**".



სკოლაში რომ მივიდნენ ჯგუფის მასწავლებელმა მოსწავლეების მის ირგვლის მოაგროვა. საყელოზე თითო ყვავილი მიამაგრა და სიტყვით გამოვიდა:



–ბავშვებო თქვენ ეკოლოგიური ყვავილი ხართ. იყო ეკოლოგიური ყვავილი ნიშნავს ბუნების დაცვას. ყოველი ეკოლოგიური ქცევა ერთ ყვავილს მოგაგებინებთ. 5 ყვავილს თუ მოიგებთ თქვენთვის სიურპრიზი მექნება.







ექსკურსიაზე ავტობუსით უნდა წასულიყვნენ. მოსწავლეები ჩასასხდომად ამოძრავდნენ. ზეინეფმა და თარიქმა "მასწავლებელო" დაიძახეს და უთხრეს:

–ჩვენ ადამიანებისთვის განკუთვნილი გზით მივდივართ. ბალახს არ ვაბიჯებთ, რადგან იქ მცხოვრები ჭიანჭველები შეიძლება დაზიანდნენ. მასწავლებელმა უთხრა:

–ყოჩაღ ბავშვებო, თქვენ პირველი ყვავილი მოიგეთ.

შემდეგ ყველა თავის ადგილას მოთავსდა. გზაში ყველა საუბრობდა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო სიურპრიზი.







ტყეში რომ მივიდნენ ბუნებაში გასეირნება დაიწყო. ზეინეფმა დაინახა ლოკოკინა, რომელიც ხეზე მიცოცავდა და ძირს ჩამოვარდა. მან ისევ ტოტზე მოათავსა და მასწავლებელს ჰკითხა:

–მასწავლებელო, დავარდნილი ლოკოკინის ხეზე დაბრუნება ყვავილს მოგვაგებინებს?

–რა თქმა უნდა – უპასუხა მასწავლებელმა.

ამ დროს თარიქმა ამობრუნებული კუ გაასწორა და ერთი ყვავილი მოიგო. ასე და-ძმამ ორი ყვავილი მოიგო. სხვა ბავშვებიც ეკოლოგიურ ქცევებს ამბობდნენ და ყვავილებს იგებდნენ.







საექსკურსიო ჯგუფმა შეისვენა. ზეინეფმა და თარიქმა ჩანთიდან სენდვიჩი ამოიღეს და ჭამა დაიწყეს. ირგვლივ მფრინავი ჩიტები შენიშნეს. პურის ნაჭრები ნამცეცებად აქციეს და ჩიტები გამოკვებეს.



შემდეგ მასწავლებელთან მიირბინეს,

–ჩიტებს ჩვენი საჭმელი გავუნაწილეთ –უთხრეს და კიდევ ერთი ყვავილი მოიგეს.

ამ დროს მასწავლებელმა ხმამაღლა თქვა:

–ბავშვებო! დაბრუნების დრო ახლოვდება.

მოსწავლეებმა სასწრაფოდ ნაგავი შეაგროვეს. ტყის სუფთად დატოვება უნდოდათ. ამ ქცევით ყველამ თითო ყვავილი მოიგო.







თარიქმა და ზეინეფმა ექსკურსიაზე ხუთი ყვავილი ვერ შეაგროვეს. ერთ-ერთი ამხანაგი მივიდა მათთან და ჰკითხა:

–მე ხუთი ყვავილი მოვიგე. და თქვენ?

ზეინეფი ამან ძალიან დაამწუხრა.

თარიქს მიუბრუნდა და უთხრა:

–ძმაო, მხოლოდ ერთი ყვავილი გვაკლია. ერთი ეკოლოგიური ქცევა რომ მოვიფიქროთ და მასწავლებელს ვუთხრათ რა მოხდება ვითომ.



–ჩვენ ხომ ერთმანეთს სიტყვა მივეცით ყველგან სიმართლე გვეთქვა! ჩვენი ფეიღამბრის ჰადისი დაგავიწყდა?

– გააფრთხილა თარიქმა.







ბოლოს მასწავლებელმა სიურპრიზი
გაამხილა: სადამკვირვებლო ჩანთა!
შემდეგ გამარჯვებულ ბავშვებს ზურგზე
ჩანთები აჰკიდა.
–ნეტა ჩვენც მოგვეგო – თქვა ზეინეფმა.
საკუთარ თავში დარწმუნებულმა
თარიქმა თქვა:

–ჩვენი ფეიღამბრის სიტყვაზე მოსმენა და
სამართლიანი ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია.



უცებ მასწავლებელმა უთხრა:
–თქვენი საუბარი გავიგონე
ბავშვებო. სიმართლის თქმამ
თქვენ კიდევ ერთი ყვავილი
მოგაგებინათ.
და–ძმამ "რა
მაგარია!" თქვა
და ერთმანეთს
გადაეხვივნენ.







ზეინეფმა და თარიქმა სახლში
დაბრუნებისას მომხდარი ოჯახს აუხსნა.
დედამ უთხრა:

–თქვენი სამართლიანად მოქცევა ძალიან კარგია!
ჩანთა რომ ვერ მოგვგეთ, თქვენი სიმართლე
ალლაჰის სიყვარულს მოგაგებინებთ.



ჩანთაში გამადიდებელი მინა და სადამკვირვებლო
ჩანიშვნებისთვის კალამი და ფურცლები იყო.
და–ძმამ ეზოში ქვები, ფოთლები
და ცოცხები შეაგროვეს. ამათ
გამადიდებლით დააკვირდნენ.
თარიქმა კვლევის შედეგები დაწერა,
ზეინეფმა კი ჩანახაცით ახსნა.
იმ საღამოს სანამ ჩაეძინებოდათ "სიმართლეს
სიკეთისკენ მივყავართ" ჰადისზე იფიქრეს.
სიმართლის თქმამ მათ ნამდვილად სიკეთე
და ბედნიერება მოუტანა.





მოდით მეგობრებო სათამაშო კალიას დახმარებით ვნახოთ, თუ რა მარტივია მივაღწიოთ სიმართლესა და სიკეთეს.

**რა დაგვჭირდება?**

–მრგვალი მუყაოს ქაღალდი
–მწვანე ხელსაქმის ქაღალდი
–ჩენილი
–ფანქარი
–ბამბის ორი ბურთულა
–ორი მოძრავი თვალი
–მაკრატელი
–წებო
–ჟურნალიდან/ გაზეთიდან გამოჭრილი ყვავილის ორი სურათი
–შავი ფლომასტერი



მრგვალ მუყაოს ქაღალდს ხელსაქმის ქაღალდი შემოვახვიოთ.



მწვანე მუყაოს ქაღალდისგან გამოვჭრათ ორი ხელი და ორი ფეხი, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. გრაგნილს მივაწებოთ.



გრაგნილს ზედა მხარეს ბამბები და მასზე თვალები მივაწებოთ.



ორი თვალის უკან ორი ცალი ჩენილი (ანუ ანტენები) მივაწებოთ. აი კალიაც მზადაა. ამ მწვანე მუყაოს ქაღალდზე ერთი სწორი ხაზი, ხოლო ერთიც ზიგზაგი დავხაზოთ.

ორივე ხაზის ბოლოს თითო ყვავილი დავდოთ. კალია როგორც ზიგზაგზე, ასევე სწორ ხაზზე თითოჯერ ვახტუნოთ. ვნახოთ რომელი ხაზის გავლით მივა ყვავილთან უფრო მარტივად.